# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 82

„27" დეკემბერი 2021 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროექტი თანაბარი განვითარებისთვის" პროექტის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროექტი თანაბარი განვითარებისთვის" შესახებ პროექტის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 21 დეკემბრის N 21.1760.1964 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროექტი თანაბარი განვითარებისთვის" შესახებ პროექტის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 21 დეკემბრის N21.1760.1964 განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებაზე.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

სესხის ნომერი 4134-GEO

საპროექტო ხელშეკრულება

(საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა მდგრადი განვითარებისთვის)

შემდეგ მხარეებს

აზიის განვითარების ბანკი

და

თბილისის მუნიციპალიტეტი

თბილისის განვითარების ფონდი

თარიღი________________________ 2021

GEO 53118

საპროექტო ხელშეკრულება

საპროექტო ხელშეკრულების თანახმად, რომელიც დათარიღებულია _______________ 2021, და ფორმდება აზიის განვითარების ბანკს (შემდგომში „აგბ"), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, და თბილისის განვითარების ფონდს შორის,

(ა) ამავე თარიღით გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებით, რომელიც ფორმდება საქართველოს (შემდგომში „მსესხებელი") და აგბ-ს შორის, აგბ მსესხებელს გამოუყოფს სესხს ას ერთი მილიონი (101, 000, 000) ევროს ოდენობით იმ ვადებით და პირობებით, რომლებიც გათვალისწინებულია სასესხო ხელშეკრულებით, მაგრამ იმ პირობით, რომ სესხის ნარჩენი თანხა ხელმისაწვდომი იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის და თბილისის განვითარების ფონდისთვის, და რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი და თბილისის განვითარების ფონდი აგბ-სთან მიმართებით იკისრებენ ქვემოთ ჩამოთვლილ ვალდებულებებს; და

(ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი და თბილისის განვითარების ფონდი, იმის გათვალისწინებით, რომ მსესხებელი სასესხო ხელშეკრულებას აფორმებს აგბ-სთან, იღებენ ქვემოთ ჩამოთვლილ ვალდებულებებს;

ზემოხსენებულთან ერთად მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

## მუხლი 1

## განმარტებანი

ნაწილი 1.01. წინამდებარე საპროექტო ხელშეკრულების მიზნებისთვის, თუ სხვაგვარად არ მოითხოვს ხელშეკრულების შინაარსი, რამდენიმე ტერმინს ექნება ის მნიშვნელობა, რომელიც განსაზღვრულია სასესხო ხელშეკრულებით და სასესხო რეგულაციებით. გარდა, წინამდებარე საპროექტო ხელშეკრულებისა, რომელშიც ტერმინი „პროექტი" გულისხმობს პროექტის იმ ნაწილს, რომელიც უნდა განხორციელდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის და თბილისის განვითარების ფონდის მიერ იმ დეტალური პირობების შესაბამისად, რომლებიც გათვალისწინებულია წინამდებარე საპროექტო ხელშეკრულებაში.

## მუხლი 2

## გარკვეული შეთანხმებები

ნაწილი 2.01. (ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი და თბილისის განვითრების ფონდი პროექტს განახორციელებენ ეფექტურად, და ეფექტური ტექნიკური, ფინანსური, ბიზნეს და განვითარების პრაქტიკების შესაბამისად.

(ბ) პროექტის განხორციელების და პროექტის დაწესებულებების ოპერირების დროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი და თბილისის განვითარების ფონდი შეასრულებენ ყველა ვალდებულებას, რომელიც გათვალისწინებულია სასესხო ხელშეკრულებით, და რომლებიც შეხება ამ ორს.

ნაწილი 2.02. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი და თბილისის განვითარების ფონდი საჭიროების შესაბამისად, აგბ-ს მიერ დადგენილი ვადებისა და პირობების შესაბამისად

დროულად გახდიან ხელმისაწვდომს სახსრებს, დაწესებულებებს, მომსახურებებს და სხვა რესურსებს პროექტის განსახორციელებლად.

ნაწილი 2.03. (ა) პროექტის განხორციელებისას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი და თბილისის განვითარების ფონდი გამოიყენებენ კომპეტენტურ და კვალიფიციურ კონსულტანტებს, რომლებიც მისაღები იქნებიან აგბ-სთვის, იმ ვადებითა და პირობებით, რომლებიც თავის მხრივ დამაკმაყოფილებელი იქნება აგბ-სთვის.

(ბ) თუ სხვაგვარი შეთანხმება არ იქნება მიღწეული აგბ-სთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი და თბილისის განვითრების ფონდი შეისყიდიან ყველა ხარჯვად პროდუქტს, რომელიც დაფინანსდება სესხის ნარჩენი თანხიდან სასესხო ხელშეკრულების მეოთხე დანართის შესაბამისად. აგბ-მ შეიძლება უარი განაცხადოს ხელშეკრულების დაფინანსებაზე, თუ საჭირო პროდუქტი არ იქნება შესყიდული იმ პირობების შესაბამისად, რომლებიც გათვალისწინებულია მსესხებელს და აგბ-ს შორის დადებული ხელშეკრულებით, ან თუ ხელშეკრულების ვადები და პირობები დამაკმაყოფილებელი არ იქნება აგბ-სთვის.

ნაწილი 2.04. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი და თბილისის განვითარების ფონდი, პროექტს განახორციელებენ იმ გეგმების, საპროექტო სტანდარტების, სპეციფიკაციების და სამუშაო განრიგის შესაბამისად, რომელიც დამაკმაყოფილებელი იქნება აგბ-სთვის. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი და თბილისის განვითარების ფონდი აგბ-ს დროულად მიაწვდიან, ან უზრუნველყოფენ გეგმების, საპროექტო სტანდარტების, სპეციფიკაციებისა და სამუშაო განრიგის აგბ-სთვის დროულ მიწოდებას. ასევე, მიაწვდიან აგბ-ს აღნიშნულ დოკუმენტებთან დაკავშირებულ ნებისმიერ ცვლილებას იმ დეტალების ჩათვლით, რომელსაც აგბ გონივრულად მოითხოვს.

ნაწილი 2.05. (ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი და თბილისის განვითრების ფონდი აიღებენ პასუხისმგებლობას, და მზღვეველებთან ერთად, ან აგბ-თვის დამაკმაყოფილებელი პირობებით უზრუნველყოფენ დაზღვევას ისეთი რისკებისთვის და მოცულობით, რომელიც შესაბამისობაში იქნება გონივრულ პრაქტიკასთან.

(ბ) ზოგადი შინაარსის მიუხედავად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი და თბილისის განვითრების ფონდი კისრულობენ ვალდებულება პროექტის განხორციელების მიზნებისთვის იმპორტირებული ნებისმიერი ნივთი დააზღვიონ შესყიდვის, ტრანსპორტირების და აღნიშნული პროდუქტების დანიშნულების ან მონტაჟის ადგილზე მიწოდების შემთხვევებისგან. დაზღვევა უნდა მოხდეს იმ ვალუტაში და ოდენობით, რომელიც შესაძლებელს გახდის საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული დაზიანებული პროდუქციის ჩანაცვლებას ან შეკეთებას.

ნაწილი 2.06. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი და თბილისის განვითარების ფონდი უზრუნველყოფენ, ან ხელს შეუწყობენ ჩანაწერების და ანგარიშების წარმოებას, რათა მოხდეს იმ ხარჯების იდენტიფიცირება, რომლებიც გაღებული იქნება სესხის ნარჩენი თანხებიდან. ასევე უზრუნველყოფენ აღნიშნული პროექტთან დაკავშირებული ხარჯების, პროექტის მიმდინარეობის (მათ შორის გაწეული ხარჯების) გასაჯაროებას და დაფიქსირებას არსებული სანდო ანგარიშგების პრინციპების, ოპერაციების და ფინანსური პირობების შესაბამისად.

ნაწილი 2.07. (ა) აგბ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი და თბილისის განვითარების ფონდი ითანამშრომლებენ სესხის მიზნების მიღწევის მიზნით.

(ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი და თბილისის განვითარების ფონდი დროულად აცნობებენ აგბ-ს ნებისმიერი იმ ვითარების შესახებ, რომელიც ხელს უშლის, ან საფრთხეს უქმნის პროქტის მიმდინარეობას, მათ მიერ საპროექტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ან სესხის მიზნების მიღწევას.

(გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი და თბილისის განვითარების ფონდი პერიოდულად, ნებისმიერი მხარის მოთხოვნის საფუძველზე, პროექტთან და სესხთან დაკავშირებულ საკითხებზე საკუთარი წარმომადგენლების საშუალებით უზრუნველყოფენ მოსაზრებების გაცვლას.

ნაწილი 2.08. (ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი და თბილისის განვითარების ფონდი აგბ-ს მიაწვდიან ყველა ანგარიშს და ინფორმაციას, რომელსაც აგბ გონივრულად მოითხოვს და შეეხება (1) სესხს და ნარჩენი თანხების მოხმარებას; (2) ნარჩენი თანხიდან დაფინანსებულ პროდუქტებს; (3) პროექტს; (4) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის და თბილისის განვითარების ფონდის ადმინისტრირებას, ოპერაციებს და ფინანსურ მდგომარეობას; და (5) ნებისმიერ საკითხს, რომელიც უკავშირდება სესხის მიზნებს.

(ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი და თბილისის განვითარების ფონდი აგბ-ს ექვს თვეში ერთხელ მიაწვდიან პროექტის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. აღნიშნული ანგარიშების წარდგენა უნდა მოხდეს კონკრეტული ფორმით და კონკრეტული დეტალების გათვალისწინებით, ასევე გონივრულ ვადებში, და სხვა საკითხებთან ერთად უნდა მიუთითებდეს მიღწეულ პროგრესზე და საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფიქსირებულ პრობლემებზე, ამ პრობლემების მოგვარების გზებზე, ასევე აღწერილი უნდა იყოს შემოთავაზებული აქტივობები და მომდევნო პერიოდისთვის დაგეგმილი პროგრესი.

(გ) პროექტის დასრულების შემდეგ დროულად, მაგრამ არა უგვიანეს 3 თვის ვადაში, ან სხვა ვადაში, რომელიც ამ მიზნისთვის მისაღები იქნება აგბ-სთვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი და თბილისის განვითარების ფონდი მოამზადებენ და აგბ-ს მიაწვდიან ანგარიშ, რომელიც უნდა მომზადდეს იმ ფორმით და მოიცავდეს იმ დეტალებს, რომლებიც მისაღები იქნება აგბ-სთვის. აღნიშნული ანგარიში უნდა მოიცავდეს დეტალებს პროექტის შესრულებაზე და ოპერირებაზე, მათ შორის პროექტის ხარჯებთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის და თბილისის განვითარების ფონდის მიერ საპროექტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, და სესხის მიზნების შესრულებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

ნაწილი 2.09. (ა) თბილისის განვითარების ფონდმა (1) უნდა აწარმოოს ცალკე ანგარიში და ჩანაწერები, რომლებიც დაკავშირებული იქნება პროექტთან; (2) მოამზადოს პროექტის ყოველწლიური საბოლოო ფინანსური დებულება აგბ-სთვის მისაღები ანგარიშგების პრინციპების შესაბამისად; (3) უზრუნველყოს ანგარიშგების ყოველწლიურად შემოწმება დამოუკიდებელი აუდიტის მიერ, რომლის კვალიფიკაცია, გამოცდილება და ტექნიკური დავალება მისაღები იქნება აგბ-სთვის; აუდიტი უნდა ჩატარდეს აგბ-სთვის მისაღები აუდიტის სტანდარტების შესაბამისად; (4) თითოეული აუდიტის შემდეგ, ფონდმა უნდა უზრუნველყოს აუდიტის მიერ ანგარიშის მომზადება, რომელშიც გათვალისწინებული

იქნება აუდიტის მოსაზრება ფინანსურ და პროექტისთვის თანხების გამოყენების საკითხებზე. ასევე, აუცილებელი იქნება აუდიტის წერილი (რომელიც განსაზღვრავს აუდიტის პროცესში დაფიქსირებულ პროექტის შიდა კონტროლის ხარვეზებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში); და (5) ფინანსური დოკუმენტაციის ასლებთან, აუდიტის ანგარიშთან და წერილთან ერთად მიაწოდოს აგბ-ს ფისკალური წლის დახურვიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადაში. ყველა ხსენებული დოკუმენტაცია მომზადებული უნდა იყოს ინგლისურ ენაზე ნებისმიერ სხვა დოკუმენტთან და ინფორმაციასთან ერთად, რომელიც დაკავშირებული იქნება აუდიტის პროცესთან და რომელსაც პერიოდულად, გონივრულ ფარგლებში მოთხოვს აგბ.

(ბ) აგბ, პროექტის ყოველწლიური აუდიტის მონაცემებს, ასევე მათ მოსაზრებას საკუთარ ვებ-გვერდზე განათავსებს აღნიშნული დოკუმენტაციის მისაღებად აღიარებიდან 14 დღის ვადაში.

(გ) პროექტის ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, თბილისის განვითარების ფონდმა უნდა (1) მოამზადოს პროექტის ყოველწლიური საბოლოო ფინანსური დებულება აგბ-სთვის მისაღები ანგარიშგების პრინციპების შესაბამისად; (2) უზრუნველყოს ანგარიშგების ყოველწლიურად შემოწმება დამოუკიდებელი აუდიტის მიერ, რომლის კვალიფიკაცია, გამოცდილება და ტექნიკური დავალება მისაღები იქნება აგბ-სთვის; აუდიტი უნდა ჩატარდეს აგბ-სთვის მისაღები აუდიტის სტანდარტების შესაბამისად; (3) თითოეული აუდიტის შემდეგ, ფონდმა უნდა უზრუნველყოს აუდიტის მიერ ანგარიშის მომზადება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება აუდიტის მოსაზრება ფინანსურ და პროექტისთვის თანხების გამოყენების საკითხებზე; და (4) ფინანსური დოკუმენტაციის ასლებთან, აუდიტის ანგარიშთან და აუდიტის წერილთან ერთად მიაწოდოს აგბ-ს ფინანსური წლის დახურვიდან არაუგვიანეს 12 თვის ვადაში. ყველა ხსენებული დოკუმენტაცია მომზადებული უნდა იყოს ინგლისურ ენაზე ნებისმიერ სხვა დოკუმენტთან და ინფორმაციასთან ერთად, რომელიც დაკავშირებული იქნება აუდიტის პროცესთან და რომელსაც პერიოდულად, გონივრულ ფარგლებში მოთხოვს აგბ.

(დ) თბილისის განვითარების ფონდმა საშუალება უნდა მისცეს აგბ-ს, ამ უკანასკნელის მოთხოვნის შემთხვევაში მოხდეს პროექტის ფინანსური დებულებების, თბილისის განვითარების ფონდის და მისი ფინანსური ურთიერთობების იმ აუდიტთან განხილვა, რომელიც დანიშნული იქნა თბილისის განვითარების ფონდის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებს (ა)(3) პუნქტის შესაბამისად. ასევე, ფონდმა უფლება უნდა მისცეს და მოსთხოვოს აუდიტის წარმომადგენელს მონაწილეობა მიიღოს აგბ-ს მიერ მოთხოვნილ ფინანსურ განხილვაში. ზემოთაღნიშნული გულისხმობს, რომ განხილვები გაიმართება მხოლოდ ფონის უფლებამოსილი ოფიცრის მონაწილეობით, თუ სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს თბილისის განვითარების ფონდი.

ნაწილი 2.10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა და თბილისის განვითარების ფონდმა აგბ-ს წარმომადგენლებს უნდა მისცენ პროექტის, პროდუქტების, სამუშაოების, მომსახურებების და ნებისმიერი თანმდევი ჩანაწერის და დოკუმენტაციის შემოწმების შესაძლებლობა.

ნაწილი 2.11. (ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა და თბილისის განვითარების ფონდმა უნდა გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა, რათა შეინარჩუნონ თანამშრომლობა, განახორციელონ ოპერაციები, და მიიღონ, შეინარჩუნონ და

განაახლონ ყველა უფლება, საკუთრება, უფლებამოსილება, პრივილეგია და შეღავათი, რომელიც აუცილებელია პროექტის განხორციელების ან სხვა ოპერაციების შესასრულებლად.

(ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა და თბილისის განვითარების ფონდმა ოპერაციები უნდა აწარმოონ მდგრადი ტექნიკური, ფინანსური, ბიზნეს, განვითრების და ოპერაციული პრაქტიკების შესაბამისად, და კომპეტენტური და გამოცდილი მენეჯერების და პერსონალის ზედამხედველობის ქვეშ.

(გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა და თბილისის განვითარების ფონდმა უნდა უზრუნველყონ მათი სადგურების, აღჭურვილობის და სხვა საკუთრების უწყვეტი ოპერირება და ტექნიკური მომსახურება. ასევე, პერიოდულად, საჭიროების შესაბამისად ჩაატარონ აუცილებელი სარემონტო სამუშაოები და განახლება მდგრადი ტექნიკური, ფინანსური, ბიზნეს, განვითრების, ოპერაციული და ტექნიკური მომსახურების პრაქტიკების შესაბამისად.

ნაწილი 2.12. თუ სხვა შეთანხმება არ იქნება მიღწეული აგბ-სთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა და თბილისის განვითარების ფონდმა არ უნდა გაყიდონ, იჯარით არ უნდა გასცენ, ან სხვაგვარად არ უნდა გაასხვისონ მათ ხელთ არსებული აქტივები, რომლებიც აუცილებელია მათი ოპერაციების ეფექტურად წარმოებისთვის, ან რომელთა გასხვისებაც საფრთხეს შეუქმნის საპროექტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დამაკმაყოფილებლად შესრულებას.

ნაწილი 2.13. თუ სხვა შეთანხმება არ იქნება მიღწეული აგბ-სთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა და თბილისის განვითარების ფონდმა სესხის დარჩენილი სახსრები უნდა გამოიყენონ პროექტისთვის სასესხო ხელშეკრულების და წინამდებარე საპროექტო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, და უნდა უზრუნველყონ ყველა ასეთი თანხის უშუალოდ პროექტის განხორციელებისთვის გამოყენება.

ნაწილი 2.14. თუ სხვა შეთანხმება არ იქნება მიღწეული აგბ-სთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა და თბილისის განვითარების ფონდმა ჯეროვნად უნდა შეასრულონ ყველა ფინანსური ვალდებულება მსესხებელთან მიმართებით, და არ უნდა განახორციელონ ქმედება, ან საკუთარი ქმედებით არ უნდა განაპირობონ ისეთი მდგომარეობის შექმნა, რომელიც ზეგავლენას იქონიებს მსგავსი ფინანსური შეთახმებებით ნაკისრი ვალდებულებების ან უფლებების გადაბარებას, შესწორებას, გაუქმებას ან მათზე უარის თქმას.

ნაწილი 2.15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა და თბილისის განვითარების ფონდმა დროულად უნდა აცნობონ აგბ-ს მათი კონსტიტუციური დოკუმენტის ნებისმიერი შესწორების, შეჩერების ან განახლების შესახებ, რომელმაც განხორციელების შემთხვევაში შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს პროექტის დანერგვაზე. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა და თბილისის განვითარების ფონდმა აგბ-ს უნდა მისცენ კომენტარის გაკეთების შესაძლებლობა ცვლილების ან განახლების ძალაში შესვლამდე.

მუხლი 3

ძალაში შესვლა; შეწყვეტა

ნაწილი 3.01. წინამდებარე საპროექტო ხელშეკრულება ძალაში შედის სასესხო ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღეს. აგბ დროულად აცნობებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და თბილისის განვითარების ფონდს აღნიშნული თარიღის შესახებ.

ნაწილი 3.02. წინამდებარე საპროექტო ხელშეკრულება და აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მხარეთა ყველა ვალდებულება დაუყოვნებლივ შეწყდება სასესხო ხელშეკრულების შეწყვეტის დღეს და შეწყვეტის პირობების შესაბამისად.

ნაწილი 3.03. წინამდებარე საპროექტო ხელშეკრულების ყველა დებულება მოქმედებს და ძალაში რჩება მიუხედავად სასესხო ხელშეკრულების შეწყვეტის ან შეჩერებისა.

მუხლი 4

სხვადასხვა

ნაწილი 4.01. ნებისმიერი შეტყობინება ან მოთხოვნა, რომელიც მზადდება წინამდებარე საპროექტო ხელშეკრულების ფარგლებში, და წინამდებარე საპროექტო ხელშეკრულების მხარეთა შორის უნდა მომზადდეს წერილობითი ფორმით. ასეთი შეტყობინება ან მოთხოვნა ჩაბარებულად ითვლება, როდესაც შეტყობინება მიწოდებულია ხელიდან ხელში, ელექტრონული ფოსტის ან მხარეთა ფაქსიმილეების გამოყენებით, რომლებიც მითითებულია ქვემოთ, ან მისამართზე, რომელსაც მხარე აირჩევს შეტყობინების ან მოთხოვნის მისაღებად. მისამართები არის შემდეგი:

<u>აგბ:</u>
აზიის განვითარების ბანკი
აზიის განვითარების ბანკის გამზირი 6.
მანდალუიონგი,
1550 მეტრო მანილა
ფილიპინები
ფაქსიმილეს ნომერი:
(632) 8636-2444
(632) 8636-2484

<u>ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი:</u>
შარტავას ქუჩა 7,
თბილისი, საქართველო
ფაქსიმილეს ნომერი:
(995) 272-2222

<u>თბილისის განვითარების ფონდი:</u>
ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N20,
თბილისი, საქართველო
ფაქსიმილეს ნომერი:
(995) 322470014

ნაწილი 4.02. (ა) ნებისმიერი განსახორციელებელი მოქმედება ან აუცილებელი ნებართვა, და ნებისმიერი აუცილებელი დოკუმენტი ან ნებართვა, რომელიც საჭირო გახდება წინამდებარე საპროექტო ხელშეკრულებისთვის, ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის შეიძლება მიღებული იქნას ან მომზადდეს მერის მოადგილის ან ისეთი პირის ან პირების მიერ, რომელთა შესახებაც წინასწარ წერილობით ეცნობება აგბ-ს; ხოლო ნებისმიერი აუცილებელი დოკუმენტი ან ნებართვა, რომელიც საჭირო გახდება წინამდებარე საპროექტო ხელშეკრულებისთვის, ან თბილისის განვითარების ფონდისთვის შეიძლება მიღებული იქნას ან მომზადდეს ფონდის აღმასრულებელი დირექტორის ან ისეთი პირის ან პირების მიერ, რომელთა შესახებაც წინასწარ წერილობით ეცნობება აგბ-ს;

(ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი და თბილისის განვითარების ფონდი აგბ-ს მიაწვდიან საკმარის მტკიცებულებას თითოეული ასეთი პირის მიერ (ა) ქვეპუნქტში მითითებული უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით, ასევე ასეთი პირის დამოწმებულ ხელმოწერას.

ნაწილი 4.03. დეფოლტის შემთხვევაში წინამდებარე საპროექტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების გადავადება, ან შეუსრულებლობა, ან უფლების, ძალაუფლების ან მაკორექტირებელი მოქმედების განხორციელება ა დააზიანებს ასეთ უფლებას, უფლებამოსილებას ან მაკორექტირებელ მოქმედებას და არ გამოიწვევს მათზე უარის თქმას.

ყოველივე ზემოთხსენებულის საფუძველზე, მხარეები, რომლებიც მოქმედებენ უფლებამოსილი წარმომადგენლების საშუალებით აფორმებენ წინამდებარე საპროექტო ხელშეკრულებას იმ დღესა და წელს, რომელიც მოცემულია ზემოთ, და თანახმა არიან აღნიშნული საპროექტო ხელშეკრულება გადაეგზავნოს აგბ-ს ოფისს.

აზიის განვითარების ბანკი<br>
ხელმომწერი______________<br>
შონ როზენტალი<br>
აზიის განვითარების ბანკის საქართველოს<br>
მუდმივი წარმომადგენლობის დირექტორი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი<br>
ხელმომწერი______________<br>
ანდრია ბასილაია<br>
თბილისის ვიცე მერი<br>
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი

თბილისის განვითარების ფონდი<br>
ხელმომწერი______________<br>
ლევან ჯღარკავა<br>
დირექტორი<br>
თბილისის განვითარების ფონდი

LOAN NUMBER ____-GEO

# PROJECT AGREEMENT

(Livable Cities Investment Project for Balanced Development)

between

ASIAN DEVELOPMENT BANK

and

TBILISI CITY MUNICIPALITY

TBILISI DEVELOPMENT FUND

DATED ______________________

GEO 53118

# PROJECT AGREEMENT

PROJECT AGREEMENT dated ______________ among ASIAN DEVELOPMENT BANK ("ADB"), TBILISI CITY MUNICIPALITY ("TCM"), and TBILISI DEVELOPMENT FUND ("TDF").

WHEREAS

(A) by a Loan Agreement of even date herewith between Georgia ("Borrower") and ADB, ADB has agreed to make to the Borrower a loan of one hundred one million Euros (€101,000,000) on the terms and conditions set forth in the Loan Agreement, but only on the condition a portion of the proceeds of the loan be made available to TCM and TDF and that TCM and TDF agree to undertake certain obligations towards ADB set forth herein; and

(B) TCM and TDF, in consideration of ADB entering into the Loan Agreement with the Borrower, have agreed to undertake the obligations set forth herein;

NOW THEREFORE the parties hereto agree as follows:

## ARTICLE I

### Definitions

Section 1.01. Wherever used in this Project Agreement, unless the context otherwise requires, the several terms defined in the Loan Agreement and in the Loan Regulations (as so defined) have the respective meanings therein set forth, except that for purposes of this Project Agreement the term "Project" means such part of the Project to be carried out by TCM and TDF, in accordance with the detailed arrangements as set out forth in the PAM.

## ARTICLE II

### Particular Covenants

Section 2.01. (a) TCM and TDF shall carry out the Project with due diligence and efficiency, and in conformity with sound applicable technical, financial, business, and development practices.

(b) In the carrying out of the Project and operation of the Project facilities, TCM and TDF shall perform all obligations set forth in the Loan Agreement to the extent that they are applicable to them.

Section 2.02. TCM and TDF shall make available, promptly as needed, and on terms and conditions acceptable to ADB, the funds, facilities, services and other resources as required, in addition to the proceeds of the Loan, for the carrying out of the Project.

Section 2.03. (a) In the carrying out of the Project, TCM and TDF shall employ competent and qualified consultants, acceptable to ADB, to an extent and upon terms and conditions satisfactory to ADB.

(b) Except as ADB may otherwise agree, TCM and TDF shall procure all items of expenditures to be financed out of the proceeds of the Loan in accordance with the provisions of Schedule 4 to the Loan Agreement. ADB may refuse to finance a contract where any such item has not been procured under procedures substantially in accordance with those agreed between the Borrower and ADB or where the terms and conditions of the contract are not satisfactory to ADB.

Section 2.04. TCM and TDF shall carry out the Project in accordance with plans, design standards, specifications and work schedules acceptable to ADB. TCM and TDF shall furnish, or cause to be furnished, to ADB, promptly after their preparation, such plans, design standards, specifications and work schedules, and any material modifications subsequently made therein, in such detail as ADB shall reasonably request.

Section 2.05. (a) TCM and TDF shall take out and maintain with responsible insurers, or make other arrangements satisfactory to ADB for, insurance against such risks and in such amounts as shall be consistent with sound practice.

(b) Without limiting the generality of the foregoing, TCM and TDF undertake to insure, or cause to be insured, any relevant Goods to be imported for the Project against hazards incident to the acquisition, transportation and delivery thereof to the place of use or installation, and for such insurance any indemnity shall be payable in a currency freely usable to replace or repair any such Goods.

Section 2.06. TCM and TDF shall maintain, or cause to be maintained, records and accounts adequate to identify the items of expenditure financed out of the proceeds of the Loan, to disclose the use thereof in the Project, to record the progress of the Project (including the cost thereof) and to reflect, in accordance with consistently maintained sound accounting principles, their operations and financial condition.

Section 2.07. (a) ADB, TCM and TDF shall cooperate fully to ensure that the purposes of the Loan will be accomplished.

(b) TCM and TDF shall promptly inform ADB of any condition which interferes with, or threatens to interfere with, the progress of the Project, the performance of their obligations under this Project Agreement, or the accomplishment of the purposes of the Loan.

(c) ADB, TCM and TDF shall from time to time, at the request of any party, exchange views through their representatives with regard to any matters relating to the Project and the Loan.

Section 2.08. (a) TCM and TDF shall furnish to ADB all such reports and information as ADB shall reasonably request concerning (i) the Loan and the expenditure of the proceeds thereof; (ii) the items of expenditure financed out of such proceeds; (iii) the Project; (iv) the administration, operations and financial condition of TCM and TDF; and (v) any other matters relating to the purposes of the Loan.

(b) Without limiting the generality of the foregoing, TCM and TDF shall furnish to ADB semiannual reports on the execution of the Project. Such reports shall be submitted in such form and in such detail and within a reasonable time, and shall indicate, among other things, progress made and problems encountered during the period under review, steps taken or proposed to be taken to remedy these problems, and proposed program of activities and expected progress during the following period.

(c) Promptly after completion of the Project, but in any event not later than 3 months thereafter or such later date as ADB may agree for this purpose, TCM and TDF shall prepare and furnish to ADB a report, in such form and in such detail as ADB shall reasonably request, on the execution and initial operation of the Project, including their cost, the performance of TCM and TDF of their obligations under this Project Agreement and the accomplishment of the purposes of the Loan.

Section 2.09. (a) TDF shall (i) maintain separate accounts and records for the Project; (ii) prepare annual project financial statements (APFS) in accordance with accounting principles acceptable to ADB; (iii) have such statements audited annually by independent auditors whose qualifications, experience and terms of reference are acceptable to ADB, in accordance with auditing standards acceptable to ADB; (iv) as part of each such audit, have the auditors prepare a report, which includes the auditors' opinion on the financial statements and the use of the proceeds under the Project, and a management letter (which sets out the deficiencies in the internal control of the Project that were identified in the course of the audit, if any); and (v) furnish to ADB, no later than 6 months after the close of the fiscal year to which they relate, copies of such audited financial statements, audit report and management letter, all in the English language, and such other information concerning these documents and the audit thereof as ADB shall from time to time reasonably request.

(b) ADB shall disclose the annual audited financial statements for the Project and the opinion of the auditors on the financial statements within 14 days of the date of ADB's confirmation of their acceptability by posting them on ADB's website.

(c) In addition to APFS, TDF shall (i) provide their annual financial statements prepared in accordance with financial reporting standards acceptable to ADB; (ii) have their financial statements audited annually by independent auditors whose qualifications, experience and terms of reference are acceptable to ADB, in accordance with auditing standards acceptable to ADB; (iii) as part of each such audit, have the auditors prepare the auditors' opinion(s) on the financial statements; and (iv) furnish to ADB, no later than 12 months after the end of the financial year to which they relate, copies of such audited financial statements and auditors' opinion(s), all in the English language, and such other information concerning these documents and the audit thereof as ADB shall from time to time reasonably request.

(d) TDF shall enable ADB, upon ADB's request, to discuss the financial statements for the Project and TDF and their financial affairs where they relate to the Project with the auditors appointed by TDF pursuant to subsection (a)(iii) hereinabove, and shall

authorize and require any representative of such auditors to participate in any such discussions requested by ADB. This is provided that such discussions shall be conducted only in the presence of an authorized officer of TDF, unless TDF shall otherwise agree.

Section 2.10. TCM and TDF shall enable ADB's representatives to inspect the Project, the Goods, Works and Services and any relevant records and documents.

Section 2.11. (a) TCM and TDF shall, promptly as required, take all action within their powers to maintain their corporate existence, to carry on their operations, and to acquire, maintain and renew all rights, properties, powers, privileges and franchises which are necessary in the carrying out of the Project or in the conduct of their operations.

(b) TCM and TDF shall at all times conduct their operations in accordance with sound applicable technical, financial, business, development and operational practices, and under the supervision of competent and experienced management and personnel.

(c) TCM and TDF shall at all times operate and maintain their plants, equipment and other property, and from time to time, promptly as needed, make all necessary repairs and renewals thereof, all in accordance with sound applicable technical, financial, business, development, operational and maintenance practices.

Section 2.12. Except as ADB may otherwise agree, TCM and TDF shall not sell, lease or otherwise dispose of any of their assets which shall be required for the efficient carrying on of their operations or the disposal of which may prejudice their ability to perform satisfactorily any of their obligations under this Project Agreement.

Section 2.13. Except as ADB may otherwise agree, TCM and TDF shall apply the proceeds of the Loan to the financing of expenditures on the Project in accordance with the provisions of the Loan Agreement and this Project Agreement, and shall ensure that all items of expenditures financed out of such proceeds are used exclusively in the carrying out of the Project.

Section 2.14. Except as ADB may otherwise agree, TCM and TDF shall duly perform all their obligations under their financing arrangements with the Borrower, and shall not take, or concur in, any action which would have the effect of assigning, amending, abrogating or waiving any rights or obligations of the parties under such financing arrangements.

Section 2.15. TCM and TDF shall promptly notify ADB of any proposal to amend, suspend or repeal any provision of their constitutional documents, which, if implemented, could adversely affect the carrying out of the Project. TCM and TDF shall afford ADB an adequate opportunity to comment on such proposal prior to taking any affirmative action thereon.

## ARTICLE III

### Effective Date; Termination

Section 3.01. This Project Agreement shall come into force and effect on the date on which the Loan Agreement comes into force and effect. ADB shall promptly notify TCM and TDF of such date.

Section 3.02. This Project Agreement and all obligations of the parties hereunder shall terminate on the date on which the Loan Agreement shall terminate in accordance with their terms.

Section 3.03. All the provisions of this Project Agreement shall continue in full force and effect notwithstanding any cancellation or suspension under the Loan Agreement.

## ARTICLE IV

### Miscellaneous

Section 4.01. Any notice or request required or permitted to be given or made under this Project Agreement and any agreement between the parties contemplated by this Project Agreement shall be in writing. Such notice or request shall be deemed to have been duly given or made when it shall be delivered by hand, mail or facsimile to the party to which it is required or permitted to be given or made at its address hereinafter specified, or at such other address as such party shall have designated by notice to the party giving such notice or making such request. The addresses so specified are:

<u>For ADB</u>

Asian Development Bank
6 ADB Avenue
Mandaluyong City
1550 Metro Manila
Philippines

Facsimile Numbers:

(632) 8636-2444
(632) 8636-2484

<u>For TCM</u>

7 Shartava Street
Tbilisi
Georgia

Facsimile Number:

(995) 272-2222

For TDF

20 Dzmebi Zubalashvilebi Street
Tbilisi
Georgia

Facsimile Number:

(995) 322470014.

Section 4.02. (a) Any action required or permitted to be taken, and any documents required or permitted to be executed, under this Project Agreement by or on behalf of TCM may be taken or executed by its Deputy Mayor or by such other person or persons as he or she shall so designate in writing notified to ADB; and by or on behalf of TDF may be taken or executed by its Executive Director or by such other person or persons as he or she shall so designate in writing notified to ADB.

(b) TCM and TDF shall furnish to ADB sufficient evidence of the authority of each person who will act under subsection (a) hereinabove, together with the authenticated specimen signature of each such person.

Section 4.03. No delay in exercising, or omission to exercise, any right, power or remedy accruing to either party under this Project Agreement upon any default shall impair any such right, power or remedy or be construed to be a waiver thereof or an acquiescence in such default; nor shall the action of such party in respect of any default, or any acquiescence in any default, affect or impair any right, power or remedy of such party in respect of any other or subsequent default.

IN WITNESS WHEREOF the parties hereto, acting through their representatives thereunto duly authorized, have caused this Project Agreement to be signed in their respective names as of the day and year first above written, and to be delivered at the principal office of ADB.

ASIAN DEVELOPMENT BANK

By ______________________________
[Name and Designation]

TBILISI CITY MUNICIPALITY

By ______________________________
[Name and Designation]

TBILISI DEVELOPMENT FUND

By ______________________________
[Name and Designation]